

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 2329

ქ. ბათუმი, 02 ივლისი 2018 წ

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამებთან დაკავშირებულ საქმისწარმოებაში ელექტრონული სისტემის დანერგვის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე.“ ქვეპუნქტის, „სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემის მინიმალური სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 21 თებერვლის №64 დადგენილების და „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 აგვისტოს N19 დადგენილების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამებთან დაკავშირებული საქმისწარმოება განხორციელდეს „მუნიციპალიტეტების მართვის სისტემის“ (mms.gov.ge) გამოყენების საშუალებით წინამდებარე ბრძანებით დადგენილი პირობების შესაბამისად.

2. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამებთან დაკავშირებული ელექტრონული სისტემა გულისხმობს:

ა) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამებთან დაკავშირებით შემოსული მატერიალური/ელექტრონული განაცხადის სკანირებას/ელექტრონულ სისტემაში (mms.gov.ge) ასახვას და ასახული განაცხადის გადაგზავნას უშუალო შემსრულებლამდე ან პირიქით;

ბ) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურულ ერთეულებს შორის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამებთან დაკავშირებული ელექტრონული დოკუმენტების გაცვლას (გაგზავნას ან/და მიღებას).

3. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის საქმისწარმოების განყოფილება უზრუნველყოფს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამებთან დაკავშირებით შემოსული წერილობითი განაცხადის რეგისტრაციას. განაცხადს ელექტრონულ სისტემაში (mms.gov.ge) ენიჭება სარეგისტრაციო კოდი. სარეგისტრაციო კოდის მინიჭება ხდება შემდეგი პრინციპის დაცვით:

3.1. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამებთან დაკავშირებით შემოსული დოკუმენტაციის სარეგისტრაციო კოდი შედგება სარეგისტრაციო ნომრისაგან და თარიღისაგან:

3.1.1. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამებთან დაკავშირებით შემოსულ დოკუმენტაციას ენიჭება ელექტრონული სისტემის (mms.gov.ge) მიერ მინიჭებული სარეგისტრაციო ნომერი, რომელიც არის განუმეორებელი;

3.1.2. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამებთან დაკავშირებით შემოსული ყველა განაცხადის თარიღი არის დრო (რიცხვი, თვე და წელი), როცა შემოვიდა დოკუმენტაცია.

4. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამებთან დაკავშირებით შემოსული განაცხადის მიღებისას რეგისტრატორი ვალდებულია შეამოწმოს შემდეგი საკითხები:

ა) სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი განაცხადი არის თუ არა ხელმოწერილი (რეგისტრატორი არ ამოწმებს ხელმოწერის ნამდვილობას);

ბ) სარეგისტრაციოდ წარმოდგენილ განაცხადზე თანდართული მასალის რაოდენობის შესაბამისობა.

5. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამებთან დაკავშირებით შემოსული განაცხადის მიღება განხორციელდეს შემდეგი პრინციპის დაცვით:

5.1. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამებთან დაკავშირებით განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს მომართავს წერილობითი ფორმით პირადად ან უფლებამოსილი პირის მეშვეობით;

5.2. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამებთან დაკავშირებით შემოსული წერილობითი ფორმის განაცხადს თან უნდა დაერთოს დადგენილი წესის შესაბამისად წარმოსადგენი თანდართული დოკუმენტაცია;

5.3. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამებთან დაკავშირებით შემოსული განაცხადის რეგისტრაციისას, განმცხადებელს გადაეცემა ხელმოწერილი სარეგისტრაციო ფურცელი.

6. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამებთან დაკავშირებით საქმისწარმოების შედეგების შესახებ განმცხადებელს ელექტრონული სისტემის (mms.gov.ge) საშუალებით ეგზავნება sms შეტყობინება. sms შეტყობინების მიღების შემდეგ განმცხადებელი ვალდებულია გამოცხადდეს და ჩაიბაროს დოკუმენტაცია. დოკუმენტაციის ადრესატისადმი უშუალოდ (ხელზე) ჩაბარებას ახდენს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის საქმისწარმოების განყოფილების საამისოდ უფლებამოსილი მოხელე, რომელიც ამ მიზნით აწარმოებს შესაბამის სარეგისტრაციო ჟურნალს. ასევე საქმისწარმოების განყოფილება უფლებამოსილია დოკუმენტაცია გააგზავნოს ფოსტის მეშვეობით.

7. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამებთან დაკავშირებით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიიდან გასული და შიდა დოკუმენტაციისათვის სარეგისტრაციო კოდის მინიჭება განხორციელდეს „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში ერთი სარკმლის პრინციპის ფუნქციონირებისათვის ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის შესაბამისი ბრძანებით განსაზღვრული გასული და შიდა დოკუმენტაციის სარეგისტრაციო წესის შესაბამისად.

8. წინამდებარე ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციას და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურს.

9. წინამდებარე ბრძანება საჯარო გაცნობის მიზნით გამოქვეყნდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ვებგვერდზე, ასევე საჯარო გაცნობისათვის წარსადგენი დოკუმენტების გამოქვეყნების ადგილზე (ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე).

10. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

11. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ლაშა კომახიძე

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი